ბრძანება:**ბ44. 442304630**
თარიღი:**15/02/2023**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“საქართველოს კანონის 34-36 მუხლების, 126^1 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს ღია კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად,

კერძოდ;

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო ზედამხედველობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- 1 (ერთი) ერთეული;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების რეგიტრაციისა და განკარგვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამშენებლო ნებართვების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (არქიტექტორი/ მშენებელ ინჟინერი)- 4 (ოთხი) ერთეული;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი საქმიანობის განყოფილების ხელმძღვანელი - 1 (ერთი) ერთეული;

ე/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი საქმიანობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ურბანისტი)- 1 (ერთი) ერთეული;

ვ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ძეგლთა დაცვის, საკონსულტაციო საბჭოებთან ურთიერთობისა და მონაცემთა ბაზების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

ზ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ძეგლთა დაცვის, საკონსულტაციო საბჭოებთან ურთიერთობისა და მონაცემთა ბაზების მართვის განყოფილების მესამე

რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 2 (ორი) ერთეული.

2.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროს 5 /ხუთი/ კალენდარული დღე.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, დავით ერემეიშვილმა.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

იუზა უგულავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი